

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.  
სსდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ლევან გამრეკელი, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯი გოგალაძე, ირინე გრიგალაშვილი, მიხეილ კაპანაძე, ნატო კიკაძე, ელზა კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ნოვე ტაბატაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნუგზარ გოცირიძე; მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიქოვანი; მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელი ლია ჯიქურაშვილი; განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნინო ლომსაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით მე-19 სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 26 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დასწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

### დღის წესრიგი:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
3. შპს „მაგთიკომი“-სათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძების ნაწილის (ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის (საზოგადოებრივი დანიშნულების) ტერიტორიაზე შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯია“-ს სარგებლობაში არსებული ქვიშის კარიერისათვის

საქართველო წყალსადენის (ხაზობრივი ნაგებობა) გატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ
6. „ადრეულ და სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ, სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად 2018 წელს გატარებულ ღონისძიებების შესახებ

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი

(დანართი თან ერთვის)

#### მოისმინეს:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ნინო ლომსაძე

მერიის განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნინო ლომსაძის ინფორმაციით, პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პროგრამაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: პროგრამის N1 დანართში - „სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა“, გამოთავისუფლებული თანხების გათვალისწინებით მოხდეს თანხობრივი გადანაცვლებები. ამავდროულად, თანხების გადანაცვლების ხარჯზე, 764 ლარი დაემატოს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემის მუხლს და შეიქმნას ახალი, სხვადასხვა ინვენტარის მუხლი და მისი ოდენობა განისაზღვროს 1200 ლარით.

*აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, დავით გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ნუგზარ გოცირიძე

საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნუგზარ გოცირიძის ინფორმაციით „ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა“ - ორგანიზაციული კოდი 03 04 09,

განხორციელდა ტექსტური ნაწილის დაზუსტება, კერძოდ, „სპორტკომპლექსის იატაკისა და ტრიბუნების მოწყობის“ ნაცვლად ჩაიწერა „ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე სპორტულ კომპლექსში იატაკების, ტრიბუნის, ელექტროტაბლოს, 24 წამიანი ელექტროტაბლოს, საკალათბურთო ფარების, სათადარიგო ფარების, ხელბურთის კარების, დამცავი ბადეების, კედლის დამცავი შალითების და საევაკუაციო კიბის მოწყობის სამუშაოები“.

*აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, დავით გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა  
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

3. შპს „მაგთიკომი“-სათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძების ნაწილის (ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ალექსანდრე ჩიქოვანი

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის ალექსანდრე ჩიქოვანის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 06 ივლისის № 17/7/6-11 მომართვით შპს „მაგთიკომი“ ითხოვს ინტერნეტ ქსელის მოწყობას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების გამოყენებას ინტერნეტის კაბელის გასატარებლად. 08.08.2018 წლის შპს „აუდიტი+“ - ის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით ერთი განათების ბოძის იმ ნაწილის საიჯარო თანხა, რომელიც საჭიროა ინტერნეტის კაბელის გასატარებლად, ერთ განათების ბოძზე განისაზღვრა წელიწადში 2 (ორი) ლარის ოდენობით. შპს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2 წლის ვადით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძის იმ ნაწილის გადაცემა, რომელიც საჭიროა ინტერნეტის კაბელის გასატარებლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას.

*აზრი გამოთქვას: ვაჟა ხარშილაძემ, ნოვე ტაბატაძემ, აკაკი ჩიტაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა  
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის (საზოგადოებრივი დანიშნულების) ტერიტორიაზე შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯია“-ს სარგებლობაში არსებული ქვიშის კარიერისათვის მიწისქვეშა წყალსადენის (ხაზობრივი ნაგებობა) გატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ლია ჯიქურაშვილი

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელის ლია ჯიქურაშვილის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობისათვის მიწისქვეშა სამუშაოების შესრულებისას სხვა მესაკუთრეთა ინტერესების შელახვა და ქონების დაზიანება რომ არ მოხდეს აუცილებელია საკრებულოს თანხმობა.

*აზრი გამოთქვას: დავით გელაშვილმა, ნოვე ტაბატაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა  
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ანა ხარებავა

თანამომხსენებლის, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაციით ხაშურის მუნიციპალიტეტის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ 2018 წლის 31 აგვისტოს სხდომაზე განიხილა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც საკრებულოს სხდომაზე მოსმენილი უნდა იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის, ზედამხედველობისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. აქვე დაამატა, „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოს სამუშაო გეგმის და სამუშაო პროგრამის დამტკიცება“, ამავე რეგლამენტის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად სამუშაო გეგმა დგება კვარტალების მიხედვით, საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე.

*აზრი გამოთქვას: ანა ხარებავამ, მამუკა წიქარიშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

6. „ადრეულ და სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ, სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად 2018 წელს გატარებულ ღონისძიებების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა დავით ნოზაძემ გააკეთა ინფორმაცია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად 2018 წელს გატარებული ღონისძიებების შესახებ.

*აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, დავით მეტრეველმა, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე  მიხეილ ჯანაშვილი